



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება №6

2016 წლის 1 აპრილი

#### ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

#### გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №45 განკარგულებაში, კერძოდ:

ა) საკრებულოს წევრი გელა დაიაური გამოყვანილ იქნეს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან.

ბ) სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს საკრებულოს წევრი გელა ხარანაული.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი